

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N8

ქ. თელავი

2022 წლის 23 აგვისტო

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე თინათინ ხანჯალიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლევან ბერძენაშვილი, დავით ლაღანიძე, ზურაბ მოსახლიაშვილი, თენგიზ მთვარელიაშვილი, მიხეილ დალუნდარიძე, ალექსანდრე შათირიაშვილი, აბრამ მახარიაშვილი, ნატალია ბახსოლიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, გელა ესიტაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ბურდიაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზურაბ სახიაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი მარიამ ლილუაშვილი.

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

მომხს: თ.ხანჯალიაშვილი

2. ქალ მეწარმეთა საჭიროებების კვლევის შედეგების პრეზენტაცია

მომხს: თ.ხანჯალიაშვილი

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

აზრი გამოთქვას: თინათინ ხანჯალიაშვილმა განმარტა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში გადასაცემი უძრავი ქონება არის მიწები, რომლებიც ფუნქციონალურად არიან შიდასამეურნეო გზის მონაკვეთები, რომელნიც მიმდებარედ განლაგებულია ტურისტული კომპლექს ლოპოტასთან, რომელიც დაინტერესებულია ამ ქონებით.

ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ მრავალი წლებია რაც კომპლექსი ლოპოტა პატრონობს აღნიშნულ გზებს, სახელმწიფოსგან პრივატიზების შემდგომ მოახდენს გზის მიმდებარე ტერიტორიებზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ლევან ბერძენაშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 2. ქალ მეწარმეთა საჭიროებების კვლევის შედეგების პრეზენტაცია.

აზრი გამოთქვას: თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა რომ, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიისა და თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა თელავის მუნიციპალიტეტში ქალ მეწარმეთა წინაშე არსებული გამოწვევების და მათი საჭიროებების მოკვლევას, რომელიც თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებში შეიძლება მოგვარდეს.

ჯამში გამოიკითხა 25 მეწარმე ქალბატონი - 10 ფოკუს ჯგუფის ფორმატში და 15 - ონლაინ რეჟიმში. კვლევა ჩატარდა NDI-ს ექსპერტების მხარდაჭერით.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია გეგმავს, რომ კონკრეტული კვლევის დროს გამოკვეთილი ქალი მეწარმეების

პრიორიტეტებსა და საჭიროებებზე დაყრდნობით შეიმუშაოს საბიუჯეტო ინიციატივა, რაც ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება.

მიხეილ დალუნდარიძემ მხარი დაუჭირა თინათინ ხანჯალიაშვილის მოსაზრებას.

გადაწყვიტეს: ქალ მეწარმეთა საჭიროებების კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდეს ინიციატივა პროგრამაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ქალ მეწარმეთა კომპეტენციების ამაღლებას და საინფორმაციო უზრუნველყოფას.

კომისიის თავმჯდომარე:



თინათინ ხანჯალიაშვილი